„ვამტკიცებ“
საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის
გენერალური მდივანი სოფიო გვეტაძე
“15“ 11 2024 წ.

საქართველოს ვაჟთა 84-ე ჩემპიონატის I ლიგა
8 - 17 დეკემბერი 2024 წ. ქ. თბილისი, ჭადრაკის დედოფლის აკადემია

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

1. ორგანიზატორი:
   საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია.
2. ღონისძიების მართვა:
   განსაკუთრებულ / გაუთვალისწინებელ შემთხვევებში, რომელიც არ არის განსაზღვრული ამ დებულებით, ტურნირის დირექტორს ფედერაციის პრეზიდენტთან შეთანხმებით აქვს უფლება განახორციელოს ნებისმიერი სახის შესწორება დებულებაში.
2. ჩატარების ვადები და ადგილი:
   08.12-17.12. 2024 წ. ქ. თბილისი, ჭადრაკის დედოფლის აკადემია, გიორგი ბრწყინვალის 32.
3. სისტემა და დროის კონტროლი:
   ტურნირი ტარდება ფიდე-ს წესებით, შვეიცარიული სისტემით 9 ტურად.
   თითოეულს 90 წუთი პარტიის ბოლომდე, ყოველ სვლაზე (პირველი სვლიდან) 30 წამის დამატებით.
4. განრიგი:

ტური	დღე	საათი
ჩამოსვლის დღე	8 დეკემბერი	
კენჭისყრა	9 დეკემბერი	12:00
გახსნა	9 დეკემბერი	15:45
I ტური	9 დეკემბერი	16:00
II ტური	10 დეკემბერი	16:00
III ტური	11 დეკემბერი	16:00
IV ტური	12 დეკემბერი	16:00
V ტური	13 დეკემბერი	16:00
VI ტური	14 დეკემბერი	16:00
VII ტური	15 დეკემბერი	16:00
VIII ტური	16 დეკემბერი	16:00
IX ტური	17 დეკემბერი	16:00
დახურვა	17 დეკემბერი	20:00

5. მონაწილენი: ტურნირში დაიშვებიან საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის წევრები:
- მოჭადრაკეები 1800 და მეტი ფიდეს რეიტინგით (01.12.2024წ რეიტინგ-სიით), აგრეთვე FM, IM, GM, WFM, WIM, WGM - წოდებიანები;
- 2024 წელს 14, 16, 18, 20 წლის ჭაბუკთა საქართველოს ჩემპიონატებზე I-V ადგილზე გასული მოჭადრაკეები;
- 2024 წელს 8, 10, 12 წლის ჭაბუკთა საქართველოს ჩემპიონატებზე I-III ადგილზე გასული მოჭადრაკეები;
- 2024 წელს რეგიონების ვაჟთა ჩემპიონატებზე I-III ადგილზე გასული მოჭადრაკეები.
  სამივლინებო ხარჯებს (მგზავრობა, დაბინავება, კვება, სატურნირო შესატანი) გაიღებენ მიმავლინებელი ორგანიზაციები.
- ყველა მონაწილეს უნდა ჰქონდეს გადახდილი 2024 წლის საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის წლიური საწევრო შესატანი **(დანართი 1)** საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის საბანკო ანგარიშზე (სს "საქართველოს ბანკი" საბანკო ანგარიში: **GE30BG0000000584705115**). ასევე, შევსებული ელექტრონული

ფორმა - https://forms.gle/vJGBfSvyoMGPpAgDA

6. კვალიფიკაცია: ტურნირში დაითვლება ფიდეს რეიტინგი.
7. რეგისტრაცია და სატურნირო შესატანი:
   მონაწილეებმა რეგისტრაციისას უნდა შეავსონ ონლაინ სარეგისტრაციო ფორმა - https://forms.gle/3U3emyWWR8YoMahV6 ამავე ფორმაში უნდა ატვირთონ: 1) პირადობის მოწმობის ასლი; 2) საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის საბანკო ანგარიშზე ჩემპიონატის საწევრო შესატანის გადარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტი.
   რეგისტრაციის ბოლო ვადაა 2024 წლის 6 დეკემბრის 18:00 საათამდე:
   ნატა ალავიძე: -ელ-ფოსტა - n.alavidze64@gmail.com მობ: 558 11 86 83
   საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის საბანკო რეკვიზიტები:
   სს "საქართველოს ბანკი" საბანკო ანგარიში: **GE34BG0000000129766701**.
   - თითოეული მონაწილის სატურნირო შესატანია 50 ლარი (უნაღდო ანგარიშსწორებით).
   - დაგვიანებული რეგისტრაციის შემთხვევაში სატურნირო შესატანია 100 ლარი (უნაღდო ანგარიშსწორებით).
   - საერთაშორისო დიდოსტატები და ოსტატები განთავისუფლებულები არიან სატურნირო შესატანისგან.
   - რეგისტრაციის ბოლო ვადის დარღვევის შემთხვევაში ორგანიზატორს უფლება აქვს არ დაარეგისტრიროს მოჭადრაკე, რომელმაც დაარღვია რეგისტრაციის ვადები.
8. თაი- ბრეიქი:
   ორი ან რამოდენიმე მონაწილის მიერ თანაბარი რაოდენობის ქულების დაგროვების შემთხვევაში ადგილები განაწილდება:
   1. ბუჰგოლცი-1 (1 უდაბლესის გამოკლებით);
   2. ბუჰგოლცი (ყველა მეტოქის ქულათა ჯამი);
   3. ურთიერთშორის შეხვედრა;
   4. შავებით ნათამაშები პარტიების მეტი რაოდენობით;
   5. მოგებების მეტი რაოდენობით.
9. დაჯილდოება:
   - I ადგილზე გასული მოჭადრაკე დაჯილდოვდება თასით, მედლით და დიპლომით.
   - II-III ადგილზე გასული მოჭადრაკეები დაჯილდოვდებიან მედლით და დიპლომით.
   - I-II ადგილზე გასული მოჭადრაკეები დაიშვებიან საქართველოს ვაჟთა 84-ე ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში.
10. საქართველოს ვაჟთა 84-ე ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის მონაწილეთა შერჩევა:
    უმაღლესი ლიგა გაიმართება 2025 წელს წრიული სისტემით (10 მონაწილე). უმაღლესი ლიგის ჩატარების ვადებს განსაზღვრავს საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია.
    უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება აქვთ შემდეგი თანმიმდევრობით:
    1. საქართველოს ვაჟთა 83-ე ჩემპიონატის 1-3 პრიზიორებს;
    2. საქართველოს 2024 წლის ვაჟთა ეროვნული ნაკრების წევრებს;
    3. პირველ ლიგაზე I-II ადგილზე გასულ მოჭადრაკეებს;
    უმაღლესი ლიგის ვაკანტური ადგილები შეივსება საუკეთესო აქტიური ფიდეს რეიტინგის მქონე მოჭადრაკეებით (2024 წლის 1 დეკემბრის მდგომარეობით). თანაბარი რეიტინგის შემთხვევაში გათვალისწინებული იქნება წინა თვის, 1 ნოემბრის ფიდეს რეიტინგი და ა. შ.
11. საერთო წესები:
    - ტურის დაწყებიდან 60 წუთზე მეტის დაგვიანების შემთხვევაში მონაწილეს ჩაეთვლება წაგება;
    - ნებისმიერ მონაწილეს შესაბამისი პარტიის დასრულებიდან 30 წუთის განმავლობაში უფლება აქვს გაასაჩივროს მსაჯთა კოლეგიის გადაწყვეტილება სააპელაციო კომიტეტში.
    მონაწილე ვალდებულია წერილობით პროტესტთან ერთად საქართველოს ჭადრაკის ფედერაციაში გადაიხადოს 100 ლარი, რომელიც პროტესტის დაკმაყოფილების შემთხვევაში უკან დაუბრუნდება.
12. **სამართლიანი თამაშის წესების დაცვა:**
    სამართლიანი თამაშის წესების დაცვა განსაზღვრულია დებულების დანართით.

ტურნირის დირექტორი: საერთაშორისო ორგანიზატორი - დათო კოდუა
მთავარი მსაჯი: საერთაშორისო არბიტრი - მარგალიტა თანდაშვილი